მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნისი (თამუზი) №6 (479) (5781) 2021

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ისრაელის ახალი პრეზიდენტი — იცხაკ ჰერცოგი

ისრაელის რიგით მეათე პრეზიდენტს რეუვენ (რუბი) რივლინს მომავალ თვეში შვიდწლიანი კადენცია ეწურება. 2 ივნისს ქნესეთმა ისრაელის მეთერთმეტე პრეზიდენტი იცხაკ ჰერცოგი, შვილი მეექვსე პრეზიდენტ ხაიმ ჰერცოგისა, შვილიშვილი ისრაელის აშკენაზთა მთავარი რაბინის — იცხაკ აიზეკ ჰალევი ჰერცოგისა, ხმათა უმრავლესობით აიჩია. ასე რომ, იცხაკ ჰერცოგს დედაც (96 წლის ორა ჰერცოგი) და მეუღლეც — 61 წლის ადვოკატი მიხალ ჰერცოგი) პირველი ლედები გახლავან.

იცხაკ ჰერცოგმა დაამთავრა თელ-ავივის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამოიარა სახელმწიფო, პარტიული თანამდებობები, იყო პარტია „ავოდას“ თავმჯდომარე , ბოლო დროს გახლდათ „სოხნუთის“ თავმჯდომარე.

ჰყავს სამი ვაჟი.

იცხაკ ჰერცოგი და მისი მეუღლე ივლისის ბოლოს თელ-ავივის პრესტიჟულ უბანში „ცაალა“ დატოვებენ ექვსასი კვ. მეტრის საკუთარ ბინას და გადავლენ იერუსალიმში საპრეზიდენტო აპარტამენტში.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა იცხაკ ჰერცოგს მისალოცი წერილი გაუგზავნა. წერილში ნათქვამია:

„საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეთ: ქნესეთის 120 დეპუტატიდან 87თქვენ დაგიჭირათ მხარი. ეს უპრეცედენტო გამარჯვებაა. ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ლიდერთა და პირადად ჩემი სახელით, მოგილოცავთ ამ გამარჯვებას. წარმატებას გისურვებთ ამ უმაღლეს თანამდებობაზე“.

საქართველოს პრეზიდენტს — ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს

პატივცემულო ქალბატონო პრეზიდენტო, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა და ჩემი სამშობლოს აყვავების, მშვენიერი ქართველი ერის კეთილდღეობის სურვილი.

მუდამ მოხიბლული გახლდით ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიით, განსაკუთრებით კი იმით, საქართველო თუ როგორ იქცა ჭეშმარიტ სახლად ქართველი ებრაელობისა. საქართველომ, როგორც თანამედროვე დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დიდი გზა გაიარა. სამშობლოში თავისუფლად მცხოვრები ქართველ ხალხს ძალუძს გაბედულად შესცქეროდეს მომავალს და განაგრძობდეს თგანვითარების გზას.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ და დაგარწმუნოთ ჩვენს გულწრფელ მეგობრულ სულისკვეთებასა და ყოველმხრივი თანამშრომლობის სურვილში.

დ-რი მიხეილ მირილაშვილი
ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი.

არჩევნები ვერ გაიმართა

გაზეთი „მენორა“ წინა — მაისის თვის ნომერში იუწყებოდა, რომ 23 მაისს უნდა გამართულიყო თბილისის დიდი ბეით-ქნესეთის გაბაის არჩევნები. საარჩევნო კომისიის განცხადებით, ამ თანამდებობის დაკავების მსურველთა კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ, როგორც საინიციატივო ჯგუფებს, ასევე ფიზიკურ პირებს.

საარჩევნო კომისიაში არცერთი განაცხადი არ შევიდა. ის, რაც თბილისის დიდი ბეით ქნესეთის არჩევასთან დაკავშირებით გამოვლინდა, მეტად საინტერესო განზოგადების საბაბს იძლევა: თემი კარგად აცნობიერებს და აფასებს, გაბაი მერაბ ჩანჩალაშვილის, მუშაობის სტილს, მის ღვაწლს ბეით ქნესეთის სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის სწორად წარმართვის საქმეში. გაბაის უმთავრესი მოვალეობა ხომ სწორედ ის გახლავთ, ჯამაათს შეუქმნას ღვთისმსახურების — ლოცვის, ტრადიციების შენარჩუნების ნორმალური პირობები. მერაბ ჩანჩალაშვილი კი ამ მოვალეობას კარგად ართმევს თავს. სწორედ ამის გამო, კანდიდატურა არავინ არ წარადგინა: მიიჩნიეს, რომ მ. ჩანჩალაშვილი უკონკურენტოა. თავად მ. ჩანჩალაშვილსაც არ წარუდგენია თავისი კანდიდატურა. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მ.ჩანჩალაშვილს კიდევ ერთი კადენციით გაუგრძელდეს გაბაის მოვალეობის შესრულება. მ.ჩანჩალაშვილმა „მენორას“ უთხრა:

— მაგრამ თუ ჯამაათის 25 წევრი განაცხადებს, რომ უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები, იგი უსათუოდ ჩატარდება!

ისრაელის ცეკვის ფილმები

29 და 30 მაისს ისრაელის საელჩომ საქართველოში მეტად საინტერესო ღონისძიება გამართა — ექსპერიმენტულ პლატფორმა „კირკესთან“ თანამშრომლობით სასტუმრო „რუმსის“ დარბაზში ნაჩვენები იქნა ისრაელის ცეკვის ფილმები.

რა გვაჩვენა ფილმების ორდღიანმა დემონსტრირებამ? სრულიად განსხვავებული ხელწერა ქორეოგრაფიაში, თანამედროვე და ერთობ განსხვავებული ხედვა. როგორც ჩანს, ისრაელის საცეკვაო დასები საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას ეწევიან — ჩინებულად უთავსებენ ერთმანეთს ყოველდღიური რეალობის თავისებურ ხედვასა და წარმოსახვას.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესში

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი ყველა კონტინეტის 103 სახელმწიფოს ებრაელობას აერთიანებს. მათს შორიოს გახლავთ საქართველოს ებრაელობა. იმის გამო, რომ მეკ-ის პრეზიდენტს, ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს როლანდ ლაუდერს პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა, მაისში გაიმართა მე 16 პლენარული ასამბლეა — პრეზიდენტის, ვიცე პრეზიდენტებისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა მორიგი არჩევნები, თუმცა, დელეგატები ერთად არ შეკრებილან. წინასწარ გახლდათ ცნობილი კანდიდატთა ვინაობა და გაიმართა, როგორც იტყვიან, ონლაინ არჩევნები — ხმა მისცეს ადგილებიდან. მეკ-ის პრეზიდენტად კვლავაც ოთხწლიანი ვადით აირჩიეს როლანდ ლაუდერი (აშშ), კონგრესის გამგეობის თავმჯდომარეა ბანკირთა შთამომავალი-დავიდ დე როტშილდი (საფრანგეთი), ხაზინადარი მილიარდელი ქ-ნი ჩელა საფრა(არგენტინა). კონგრესის ვიცე პრეზიდენტი გახდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი. მიხეილ მირილაშვილმა გამოთქვა მადლიერება იმის გამო, რომ მსოფლიოს ებრაელთა ცხოვრების უმთავრეს ორგანოს ხელმძღვანელობაში მუშაობა როლანდ ლაუდერისა და გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეთა გვერდით უწევს.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

„პირველად საქართველოსკენ გამოვეშურე“

21-27 მაისს საქართველოს საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, იაკობ გაგულაშვილი. „პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო დიდი ხნის განმავლობაში არ გავსულვარ ისრაელიდან. საზღვრების გახსნისთანავე, პირველად საქართველოსკენ გამოვეშურე, რადგან ბევრი გადასაჭრელი საკითხი დაგროვდა, მათ შორის საჯამაათო საქმეები“- ბრძანა საუბარში ბატონმა რაბინმ.

ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გაიმართა: 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა სასახლეში უმასპინძლა რაბი იაკობ გაგულაშვილსა და მის თანმხლებ პირებს. შეხვედრა მეგობრულ გარემოში და საქმიანი ფორმატით წარიმართა. რაბი იაკობმა ქალბატონ სალომეს ოფიციალურად მიულოცა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი დღესასწაული - დამოუკიდებლობის დღე. საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა ისრაელის მხრივ ინიცირებულ სამშვიდობო პროცესებს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ვექტორი შეუქცევადი და მყარი იქნება. საუბრისას ხაზი გაესვა ქართულ-ებრაული ისტორიული ურთიერთობების უნიკალურობას და დადგა საკითხი საქართველოში დაბადებულ და აწ უკვე სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთათვის ქვეყნის ორმაგი მოქალაქეობის გამარტივებულად მინიჭების შესახებ.

იმავე დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში შედგა რაბი იაკობ გაგულაშვილის მიღება საქართველოს პრემიერ მინისტრთან, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან. რაბი იაკობმა საქართველოს ებრაელობის სახელით პრემიერს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ოფიციალური მისალოცი გადასცა და აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ორი მშვიდობისმოყვარე ქვეყნის, საქართველოსა და ისრაელის პარტნიორობის კიდევ უფრო გაფართოვება და გაღრმავება, რაზედაც ბატონმა პრემიერმა სრული მზაობა განაცხადა.

პრემიერთან საუბრისას რაბი იაკობი შეეხო ერთობლივი „მრგვალი მაგიდის“ თემას, რომლის დაარსებაზეც თავად და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეთანხმდნენ 2019 წლის აგვისტოში და რომელიც დროებით შეჩერდა მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო. მან აღნიშნა, რომ სულიერი ლიდერების თანამშრომლობის ეს ფორმატი თვისობრივად ახალი, მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობებს წარმოაჩენს ორ მოძმე ხალხსა და ქვეყანას შორის.

შეხვედრისას რაბი იაკობ გაგულაშვილი დაინტერესდა ქვეყანაში არსებული COVID ვითარებითა და მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესით.

იმავე დღეს ბატონი რაბი საგარეოსაქმეთა მინისტრმა, დავითზალკალიანმამიიღო.

შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობას და მათი გაღრმავების პერსპექტივებს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ებრაელთა მთავარ რაბინს ხალხთა შორისი მეგობრობის განმტკიცებისა და ქართველ ებრაელთა კონსოლიდაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

მხარეებმა მიმოიხილეს რა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესები, მიესალმნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რაც უცილობლად შეუწყობს ხელს რეგიონში მშვიდობის დამყარებას.

ვიზიტის დროს რაბი იაკობი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა და ცენტრის დირექტორს, ბატონ ზაზა აბაშიძეს შეხვდა. მან დაათვალიერა საცავებში დაცული ებრაული ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების კოლექცია, მათ შორის, ლაილაშის ბიბლია, თორები, XVIს-ში სალონიკსა და მადრიდში გამოცემული ბიბლიის ტექსტები, საქართველოში მოღვაწე რაბინთა საქმიანობის ამსახველი წერილები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი იყო როგორც სტუმრებისთვის, ისე ცენტრის თანამშრომელთათვის. ხელნაწერების დათვალიერებისას გამოითქვა არაერთი საყურადღებო მოსაზრება ხელნაწერთა რაობისა და დათარიღების დაზუსტების თვალსაზრისით, ასევე, ზოგიერთი ხელნაწერის დეტალური და გაღრმავებული შესწავლის სურვილი სემიტოლოგთა ჩართვით, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

რაბი იაკობი ასევე შეხვდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა ვაშაყმაძეს, რომელთანაც ისაუბრა საქართველოში ებრაული თემის საჭირბოროტო საკითხებზე.

ვიზიტის დროს რაბი იაკობი კახეთსაც ეწვია, სადაც დაათვალიერა ღვინის ქარხანა, რომელშიც გამართულია ქაშერი ღვინის ჩამოსხმელი საწარმო და რომლის პროდუქციაც მალე არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც გავა.

ჯამაათთან შეხვედრა რაბი იაკობმა თბილისის დიდ სინაგოგაში გამართა, ხოლო 27 მაისს ერეც ისრაელში დაბრუნდა.

ირინა ბიბილეიშვილი-იოსებაშვილი
2 ივნისი, 2021

გვექნება ქართველ ებრაელთა ენციკლოპედია

შეკითხვები:

1. იქნებ, გვესაუბროთ ქართველ ებრაელთა ენციკლოპედიის შექმნის წინაპირობაზე: რა ისტორიულ — შემოქმედებითმა პროცესმა განაპირობა ამ, მნიშვნელოვანი და ამავდროულად, ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანის დასხვა?

2. რა კრიტერიუმებით მიმდინარეობს ენციკლოპედიის შედგენა:

ა) როგორია საენციკლოპედიო პერსონალიების შედგენის პრინციპი,

ბ) რაგვარი სამეცნიერო, შემოქმედებითი, საზოგადო მოღვაწეობისა, თუ სხვ. ცენზის მქონე პიროვნებები ხვდებიან ენციკლოპედიის პესონალიებს შორის?

3. გთხოვთ ჩვენს მკითხველს წარუდგინოთ სარედაქციო კოლეგიის წევრები და ისიც აუწყოთ, თუ ვინ რომელ სფეროს კურირებს.

4. ცნობილია, რომ ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის, საქართველოდან გამოსულ აკადემაიმთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხაიმ ხუბელაშვილის მეთაურობით, მზადდებოდა ქართველ ებრაელთა ენციკლოპედია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმ სარედაქციო კოლეგიამ საკმაო მოცულობის სამუშაო ჩაატარა. გამოიყენებთ თუ არა, დაგროვილ გამოცდილებას?

5. რომელი ორგანიზაციის ეგიდით მზადდება ენციკლოპედია — რამდენად ვართ დაზღვეული ისეთი მიკერძოებულობისა, თუ ტენდენციურობისაგან, როგორსაც ადგილი ჰქონდა თქვენივე ხელმძღვანელობით გამოცემული „ებრაული სიბრძნის წყაროს“ შედგენისას — კრებულში არ არის წარმოდგენილი ის ზოგიერთი ქართველი ებრაელი მოღვაწე, რომლებიც ცხადია, სხვებთან ერთად, ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი ებრაელობის სამეცნიერო, თუ შემოქმედებით სახეს?

6. ენციკლოპედიის პერსონალიათა შორის მხოლოდ ქართველი ებრაელები იქნებიან წარმოდგენილნი, თუ ის არაებრაელი მოღვაწენიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში?

7. ენციკლოპედიაში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ პერსონალიები, თუ ის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, ფაქტები, საზოგადოებრივი, თუ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს ქართველი ებრაელობის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაზე?

8. რამდენ ტომად ივარაუდება ენციკლოპედია?

9. დაახლოებით როდის უნდა ველოდოთ ენციკლოპედიის გამოცემას?

მთ. რედაქტორის შ. წიწუაშვილის პასუხი:

შევეცდები ლაკონურად და ამომწურავად გავცე პასუხი თქვენს მიერ დასმულ კითხვებს. ენციკლოპედიის შექმნაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-ან წლებში დავიწყეთ მუშაობა ნეტარხსენებულმა ხაიმ ხუბელაშვილმა ისრაელში და მე თბილისში. ბ-ნი ხაიმისგან მივიღე წერილი...

ენციკლოპედიაში შესაყვანი პირები შეირჩეოდა კანდიდატის მიერ ღირმესანიშნავი მიღწევებით მისი მოღვაწეობის სფეროში. ამიტომ, მკაცრად ვიცავთ რა ამ კრიტერიუმს, ენციკლოპედიაში შევლენ ღირსეული, დამსახურებული პიროვნებები. ადგილი არ ექნება არავითარ მიკერძოებას. ენციკლოპედიაში წარმოდგენილი იქნებიან, არა მხოლოდ ქართველი ებრაელები, აგრეთვე აშქენაზი ებრაელები, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, იუდაიკის განყოფილებაში ვიძლევით ინფორმაციებს ებრაელთა რელიგიის, ადათ-წესებისა და სხვა მრავალ საჭირო ცნობებს. ენციკლოპედიას დაერთვის ბიბლიოგრაფია, განმარტებები, შემოკლებები. ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორები: პროფ. შალვა წიწუაშვილი, პროფ. გივი ღამბაშიძე ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია ასეთი გახლავთ: პროფ. შლომო იანეცი (მთემატიკა), პროფ. მერაბ იზრაელაშვილი (მედიცინა), პროფ. დვით ბააზოვი (ფიზიკა), პროფ. დოდო ჩიკვაშვილი (ქიმია, ბიოლოგია), პროფ. სიმონ სიმონიშვილი (ეკონომიკა), კომპ. იოსებ ბარდანაშვილი (მუსიკა), ნუგზარ ჯანაშვილი (მწერლობა), სულო სეფიაშვილი (ჟურნალისტიკა), დოქტ. ბორის ჩაჩანაშვილი (სპორტი), დოქტ. გერშონ ბენ-ორენი (სიონიზმი) ვვარაუდობთ ენციკლოპედია გამოვცეთ ორ ტომად.

ისრაელის პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლა

„ისმაილ ჰანიას, „ჰამასის“ ლიდერებსა და ბოევიკებს:

ჩვენ, ისრაელის ხალხი, თქვენს წინაშე ვალში ვართ:თქვენ წარმატებას მიაღწიეთ იქ, სადაც მარცხი იწვნიეთ იმიტომ, რომ ისრაელის სახელმწიფოს თანამედროვე ისტორიის განმავლობაში აქამდე არასდროს ყოფილა ებრაელი ხალხი ასე ერთი ადამიანივით, ერთ გულად შეკრული, როგორც ახლაა. ისრაელში ყველა, მარცხნიდან მარჯვნივ, საერო და რელიგიური ადამიანები, ერთიანი არიან იმ შეგნებით, რომ შეუძლებელია, შეურიგდე მტერს, რომელმაც ჩვენი ხალხის გენოციდი დაიფიცა. ახლა, როდესაც განურჩევლად განაგრძობთ სასიკვდილო რაკეტების გაშვებას, რომლებიც რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი მცხოვრებლის მოსაკლავად და დასასახიჩრებლადაა მიმართული, შთაგვაგონებთ, რაც შეიძლება მტკიცე ერთობას და ერთად ყოფნას. რა

მართალია, ისრაელის მიწაზე რაკეტები აღარ ცვივა, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ ორი წინამდებარე ტექსტი საყურადღებოა, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ისტორიული თვალსაზრისით, რის გამოც ვთავაზობთ მკითხველს.

კამათიც არ უნდა წარმოგვეშვას ჩვენ, ებრაელებს, ერთმანეთში, ახლა უკვე ვიცით, რომ ერთი საერთო მიზანი გვაქვს: ჩვენ დაგამარცხებთ.

თუმცა, ახლა უკანასკნელ შანსს გაძლევთ: 24 საათის განმავლობაში ყველა სარაკეტო დაშენა - მხედველობაში მაქვს ყველა სარაკეტო დაშენა! - უნდა შეწყდეს. მთლიანად. სამუდამოდ.

ოფიციალურად გაცნობებთ, რომ, ჩვენი ტანკები ღაზას საზღვრებთნაა თავმოყრილი, მზადაა საარტილერიო და საავიაციო მხარდაჭერა. ჩვენ უკვე ჩამოვყარეთ ფურცლები ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილების თავზე მშვიდობიანი მცხოვრებლების გასაფრთხილებლად ჩვენი მოსვლის მოახლოების შესახებ და იმის თაობაზე, რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ევაკუირებულნი სამხრეთში. თუ ჩვენი ულტიმატუმის შესრულებას ვერ მოახერხებთ, ჩვენ მოვალთ და, უფლის დახმარებით, უკვე აღრ წავალთ. ჩენს მიერ დაკავებული მიწის ყოველი სანტიმეტრი ისრაელს იქნება მიერთებული, ამიტომ იქიდან უკვე აღარასდროს მოხდება თავდასხმები ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობაზე. თვით ამ შემთხვევაშიც კი კარს ღიას ვტოვებთ, რათა მოხდენილად დანებების შესაძლებლობა მოგცეთ. იმ მომენტში, როდესაც გამოაცხადებთ, რომ იარაღს ყრით, ჩვენს წინსვლას შევაჩერებთ და ახალ საზღვრებს მოვნიშნავთ. თუკი ჩვენს მოქალაქეებზე შეტევას გააგრძელებთ, სამხრეთისკენ წინსვლას გავაგრძელებთ და გაგრეკავთ იმ ტერიტორიებიდან, თქვენი ბოროტი ყოფნით რომელთა მოწამვლასაც ვეღარასდროს შეძლებთ.

ძალიან მტკივა, რომ თქვენი მშვიდობიანი მოსახლეობა საცხოვრებლის გარეშე დარჩება, მაგრამ ეს ომი ჩვენ არ აგვირჩევია: შენ აირჩიე! და თუკი შენი არჩევანია ჩვენი მოქალაქეების ქცევა თქვენი სასტიკი გენოციდის დაუნდობელ მსხვერპლად ქცევასა და თქვენი სამოქალაქო პირების ლტოლვილებად ქცევას შორის, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს უკანასკნელი უნდა ავირჩიოთ. თქვენ რომ საკუთრი ხალხი ისევე ძლიერად გიყვარდეთ, როგორც ჩვენ გეზიზღებით, ეს ომი არ მოხდებოდა.

დანარჩენ სამყაროს: ისრაელი დაიღალა თქვენი დაუსრულებელი საყვედურებით, რომ ჩვენ „თავშეკავება უნდა გამოვიჩინოთ“. როდესაც მთელი თქვენი მოსახლეობა შეურიგებელი მტრის სარაკეტო დაშენის ქვეშ იმყოფება, რომლის გაცხადებული მიზანი თქვენს მიწაზე მყოფი ყოველი მამაკაცის, ქალის და ბავშვის მკვლელობაა, მაშინ შეგიძლიათ, მობრძანდეთ და „თავშეკავებაზე“ გველაპარაკოთ. მანამდე კი პატივისცემით გთავაზობთ, თქვენი ორმაგი სტანდარტები თქვენთვის შეინახოთ. ამჯერად „ჰამასმა“ ძალიან შორს შეტოპა და გავაკეთებთ ყველაფერ შესაძლებელს, რათა ჩვენი მოსახლეობა დავიცვათ.

„ჰამას“, კიდევ ერთხელ გმადლობთ, რომ შეძელით ჩვენი ხალხის გონების ასეთი სინათლით და მიზნის ასეთი ერთიანობით ერთად შეკრება. ისრაელის ხალხს არ ეშინია წინ არსებული გრძელი გზის. ამ ისრაელ ხაი“.

13.05.2021

ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის იაკობ გაგულა — გაგულაშვილის მიმართვა

ისრაელის შვილებო, ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმყოფელო მოქალაქეებო - ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე!

სამწუხაროდ, ისრაელის სახელმწიფოებრიობა რეალური საფრთხის წინაშე დადგა. დღეს ვიმკით ნაყოფს გაუთავებელი და უკომპრომისო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებებისა, კაცთა შორის გათიშულობისა და კვლავ გადასარჩენი გვაქვს ჩვენი დიდი მონაპოვარი - გამჩენისგან ნაბოძები ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

არადა, მტერი კიდევ უფრო მთლიანდება ჩვენი სიძულვილის იდეის გარშემო, გააერთიანეს ძალა, სამხედრო ტექნიკა, ფინანსები... ახლა ცდილობენ ამ იდეას შემოუერთონ ჩვენი არაბი მოქალაქეები და რაკეტების აფეთქებების ფონზე ანარქია დაიწყონ ქვეყანაში. აკი კვლავ გრძელდება ქუჩებში მოქალაქეებს შორის ხელჩართული დაპირისპირებები, სალოცავების განადგურება, სეფერ თორების შეურაცხყოფა, უძრავი და მოძრავი ქონების გადაწვა, პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე თავდასხმა ქვებით, ცივი იარაღით, არადა, ისინი წესრიგს და ადამიანების სიცოცხლეს იცავენ განურჩევლად ეროვნებისა.

არ ახალი ამბავია, რომ გარეთ მტერი ჰყავს ისრაელს, თუმცა, დავით ჰამელეხის სიტყვებით გავაგრძელებ: ღმერთო, მომაშორე მოყვრად მოსული შინაური მტერი, ხოლო გარეთა მტერს თავად გავუმკლავდები! ისრაელს არასოდეს ეშინოდა გარედან მომხვდურის, არამედ შიგნით, ჩვენს უბეში გამოზრდილი გვაყენებდა ყოველთვის ჭრილობას. ამიტომაც, როდესაც ხედავ შინაური მტრის რეალურ სახეს, სიბრძნე და სიფრთხილე გმართებს!

ჩვენ წიგნის ერი ვართ, მლოცველი, ღმერთის და ადამიანის მოსიყვარულე, - ასე იყო ოდითგან. სამწუხაროდ, მეორე მხარეს დგანან ტერორის, კონფლიქტის, გაუთავებელი ომის მოყვარული დაჯგუფებები, - ისინი, ვისაც თორა „ხმლის პირზე მავალთ“ უწოდებს. დიდია სხვაობა და ამიტომაც, ჩვენ მეტი დიდსულოვნება გვმართებს, რათა საპასუხო ქმედებებით არ მივცეთ საზრდო კონფლიქტის შემდგომ ესკალაციას, არ უნდა ავყვეთ პროვოკაციებს. თუმცა, უცილობლად გვმართებს შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რადგან ვიცით, უფალს კვლავ სურს რაღაც შეგვასმინოს თავის საყვარელ შვილებს.

მტერს არ სძინავს, მან შესანიშნავად დაინახა როდის უნდა დაერტყა ზურგში დანა: ქვეყანა პოლიტიკურად დასუსტდა, ზედიზედ ოთხი არჩევნები ჩავატარეთ და მაინც გაურკვეველია მომავლის ორიენტირები; მიმდინარეობს მოლაპარაკებები პრაგმატულად მოაზროვნე არაბული პარტიის ლიდერებთან მანსურ აბასის თაოსნობით. მათთან თანამშრომლობა სერიოზულად ამცირებდა ადგილობრივ არაბებთან კონფლიქტის შანსებს. ეს კი „ჰამასისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდა და გადაწყვიტა გაენადგურებინა არაბებთან მოსალოდნელი თანამშრომლობის ყველა შანსი; ამასთანავე, „ჰამასის“ ინტერესებშია, რომ მისი გავლენა გავრცელდეს ისრაელის მოქალაქე არაბებზეც, რათა გამოიყენოს ისინი ბრმა იარაღად და დაამხოს ჩვენი ქვეყანა; ასევე სურდათ წერტილი დაესვათ ნეთანიაჰუს თანამდებობაზე ყოფნისთვის და ეს ყოველივე, დღესავით ნათელია.

რა გვმართებს პასუხად ისრაელიშვილებს?: უნდა მივენდოთ გამჩენს, პოლიციას, ჯარს და სახელმწიფოს პრემიერს, რომელსაც ძალუძს დღეს მდგომარეობის დეესკალაცია და ქვეყნის კალაპოტში დაბრუნება; უნდა დავიცვათ კანონის უზენაესობა, არ შეიძლება მოქალაქემ მოქალაქეზე ხელი აღმართოს, ყველანი ღმერთის შვილები ვართ; გვმართებს მორალური სიმტკიცე და იმის შეგნება, რომ გამჩენი თავისი ქმედებების ენაზე გვესაუბრება და როგორც არაერთგზის, ახლაც უნდა ძმების ერთობა, რადგან დიდი სიძულვილი დაინახა ჩვენს შორის და მან კარგად უწყის, რომ სწორედ შიში და განსაცდელი გვაერთიანებს. ყველაზე მეტად კი შესაბამისი დასკვნების გაკეთება გვართებს, სანამ დროა, სანამ კიდევ ერთი სიცოცხლის გადარჩენა შეგვიძლია.

შევხედოთ რა შედეგი დაგვიდგა დღეს? ისევ განსაცდელში გავერთიანდით, გუშინ თუ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები ერთად ცდილობდნენ ნეთანიაჰუს ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, დღეს აგერ, ნაფტალი ბენეტიმ განაცხადა, რომ ახლა ეს არ შეიძლება და, ფაქტობრივად, მოინანია.

გამოიღვიძეთ ებრელებო, ისრალიშვილებო, გავერთიანდეთ, გავიგოთ ვინაა მტერი და ვინ — მოყვარე, დავუბრუნდეთ გამჩენის სამსახურს, თორას, ადამიანთა სიყვარულს, ყველა ერთად დავდგეთ ღვთის წინაშე, ერთად ვილოცოთ ჩვენი ჯარისკაცებისთვის, ჩვენი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც მთელი ებრაელობისთვის ისეთივე ერთადერთია, როგორც გამჩენი და მის სიყვარულში გაერთიანების გარდა სხვა გზა არ არსებობს!

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი
იაკობ გაგულაშვილი
იერუსალიმისა და აშდოდის მთავარი რელიგიური მოსამართლე.

14.05.2021

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“ აცხადებს ვაკანსიას დირექტორის თანამდებობაზე

„ხესედი ლიაჰუ“რეგულარულად სთავაზობს 1000-ზე მეტ, თემის ადგილობრივ წევრს, ჰუმანიტარულ დასოციალურ პროგრამებს; რომლეთა ორგანიზება ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო დონორებთან თანამშრომლობით.

თუ თქვენთვის სულერთი არ არის ადგილობრივი ებრაული თემის მომავალი და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა, თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია დაეხმაროთ და თქვენი წვლილი შეიტანოთ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში, ეს პოზიცია ნამდვილად თქვენთვის არის!

ძირითადი მოვალეობები:

- ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა/შემუშავება, კონტროლირებადი ოპერაციული საქმიანობა,
- ფინანსების, პროგრამებისა და თანამშრომლების ოპერატიული მართვა,
- პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და რესურსების მოზიდვა, დასახული მიზნების მისაღწევად; მუდმივი კონტაქტი დონორებთან,
- ფინანსური, პროგრამული, ადმინისტრაციული ანგარიშგება დონორებთან, სახელმწიფო უწყებებთან,
- საჭიროებისამებრ, შესყიდვებისა დატენდერების ჩატარება, ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად,
- მჭიდრო თანმშრომლობა ებრაულ ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულება

ძირითადი მოთხოვნები თანამდებობის დასაკავებლად:

- უმაღლესი განათლება,
- ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება,
- თანამშრომელთა ჯგუფის (20 ან მეტი) მართვის გამოცდილება
- პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვის გამოცდილება, რომელიც დასრულდა ერთობლივი პროექტის განხორციელებით
- ადგილობრივი ებრაული თემის ცხოვრების საქმის კურსში ყოფნა; ებრაული ტრადიციების მიმდევრობა ჩაითვლება უპირატესობად.

პირადი თვისებები, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია:

- გამჭრიახობა დაინიციატივის გამოჩენა
- მოქნილობა და დიპლომატიურობა,
- ახალი იდეებისა და ინიციატივების განვითარებისთვის მზაობა,
- სხვადასხვა სოციალურ გარემოში ინტეგრაციის უნარი.

ჩვენ გთავაზობთ:

- კარგი სამუშაო პირობები და შესაბამისი ანაზღაურება,
- პირადი და პროფესიული ზრდის კარგი შესაძლებლობები, და რაც მთავარია, საინტერესო იდეებისა და პროექტების რეალიზება.

თუ თქვენ ფლობთ საჭირო გამოცდილებას და გსურთ ჩვენთან ერთად იაროთ მაღალი ღირებებულებისა და სტანდარტებისკენ, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე: JDC.28.02C@applynow.io

ჩემი თბილისი ისევ მეძახის

ამასწინათ ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, სიმღერების ავტორისა და შემსრულებელის, ბატონი ალექს პელეგი — ელიგულაშვილის და ჩემი საუბრისას, ალექსი დედაზე ალაპარაკდა: ალექსი პელეგი: დედაჩემის, მარგარიტა შაბათას ასული ბინიაურიშვილის ბიოგრაფია უცნაური და მრავლისმთქმელია. იგი დაიბადა 1919 წელს შეძლებული, პირველი გილდიის ვაჭრის ოჯახში. ერთადერთ ქალიშვილს ფუფუნებაში ზრდიდნენ. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა, რომელიც 1942 წელს ასევე წითელ დიპლომზე დაამთავრა. შეეძლო ემუშავა საავადმყოფოში, ან პოლიკლინიკაში, მაგრამ ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა, რაც ჩემთვის დღემდე აუხსნელია, მითუმეტეს ქუთაისის ებრაულ ოჯახში გაზრდილი ქალიშვილისაგან. დედა მე–2 უკრაინული არმიის საველე ჰოსპიტალის მთავარ ექიმად დაინიშნა. ბერლინამდე კოშმარული გზა გაიარა და რეიხსტაგზე თავისი ავტოგრაფიც დატოვა. ომის წლებშივე შევიდა კომპარტიის რიგებში. 1946 წელს დაბრუნდა საქართველოში და ცოტა ხანში მამაჩემს გაჰყვა ცოლად. ომგამოვლილი არ გაბოროტებულა, უფრო გამძლე და კაცთმოყვარე გახდა. ადამიანების ტკივილებისადმი გულისხმიერება მისი ბუნებისგან მომდინარეობდა, რაც გამოადგა, როცა ორი შვილის დედამ მუშაობა დაიწყო თბილისის მე–19 პოლიკლინიკაში. შემიძლია ვთქვა, რომ თანაბრად პატივს სცემდნენ პაციენტებიცა და კოლეგებიც. გარდა ომში მიღებული ორდენებისა და მედლებისა, სამსახურშიც უამრავი ჯილდო მიიღო, მათ შორის წლის საუკეთესო მედიკოსის დიპლომი. თავის სითბოს უნაწილებდა არა მარტო ქმარსა და შვილებს, სანათესაოს, მეზობლებსა და საერთოდ ყველას. რაც კი დასაფასებელია ჩემში, დედაჩემის დამსახურებაა.

ლია კრიხელი: შენი შეხედულება ქალის როლზე ცხოვრებაში.

ა. პ. ქალი მამაკაცზე უფრო ძლიერია, გაცილებით ადვილად შეუძლია ფიზიკური, თუ სულიერი ტკივილის ატანა. ვეთანხმები ქალისა და მამაკაცის გათანასწორებას, დედაჩემის შემდეგ ყველაზე ახლობელი ქალები, ჩემი დები არიან, აწგარდაცვლილი ეთერი და ჩემი დაც და უერთგულესი მეგობარიც, მედეა. ასევე, ჩემი პირველი მეუღლე გალინა და ჩვენი ქალიშვილი მაია ელიგულაშვილი და მისი შვილი ევა. ჩემი ამჟამინდელი მეუღლე, მანანა და ჩვენი ორი ვაჟკაცის შთამომავლობა: ელიანი, აელინი, ორიანი და გული, რომლებიც ისრაელში დაიბადნენ. მოკლედ, ქალი ჩემთვის სიცოცხლის წყაროა.

ლ. კ. აღარავის უკვირს, თუ ნიჭიერი ადამიანი რამდენიმე სპეციალობას ერთამანეთს უთავსებს. შენს შემთხვევაში მათემატიკოსი, მომღერალი, კომპოზიტორი და დრამატურგი ერთმანეთში იდილიურად არიან, თუ რომელიმე დომინირებს?

ა. პ. განგების ნებით, ჩემი ცხოვრება სამ ეტაპად დაიყო. 1970 წელს, უნივესიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, იმავდროულად სამუსიკო სასწავლებელს ვამთავრებდი ვიოლინოს სპეციალობით. ჩემი დიდი სურვილი, პარალელურად კონსერვატორიაშიც გამეგრძელებინა სწავლა, გავანდე 11 წლის განმავლობაში ჩემს ვიოლინოს კლასის პედაგოგს, ბორის ამირხანოვს, რომელმაც მირჩია, მთელი ძალისხმევა მათემატიკისთვის დამეთმო, თორემ „ორი კურდღლის მდევარობა“ გამომივიდოდა. მათემატიკაში საკმაო წარმატებასაც მივაღწიე. ასე იყო, ვიდრე ისრაელში ამოვიდოდი. საგულისხმოა: რაც თავი მახსოვს, სულ ვმღერი. პირველი სიმღერებიც სკოლის ასაკში დავწერე და ვმღეროდი სკოლის საესტრადო ანსამბლში. მოგვიანებით, უნივერსიტეტის საკმაოდ ძლიერ ანსამბლშიც ვმღეროდი, მაგრამ ყველაფერი უფრო გატაცების დონეზე იყო. 2003 წელს გავიცანი ქალბატონი ლუიზა მანაშეროვი, რომელმაც მიმიწვია ანსამბლში „ლურიმი“. მის გარდა იყვნენ რიმა ფიჩხაძე (როიალი) და მირა კანოვიჩი (ვიოლინო). ორი წელი წარმატებით ვითანამშრომლეთ, სადაც გავაჟღერე სტუდენტობისას შექმნილი სიმღერები და დავწერე ახალიც. სამწუხაროდ, ქალბატონი მირა გადაიცვალა და ანსამბლიც დაიშალა. მე და ლუიზამ მოღვაწეობა დუეტის სახით განვაგრძეთ, რომელსაც „ელეგია“ დავარქვით და აგერ, 15 წელია კონცერტებით გამოდივართ, მათ შორის საქართელოსა და საბერძნეთშიც (საქველმოქმედო კონცერტი). გამოქვეყნებული მაქვს ჩემი სიმღერების ხუთი ალბომი, მე–6 მზადდება. გამოდის, რომ მუსიკა დომინირებს ჩემში, მათემატიკა კი, ხელობაა. ყოველთვის წერა უკეთ მეხერხებოდა, ვიდრე ლაპარაკი. ბევრი პუბლიცისტური სტატია მაქვს გამოქვეყნებული პრესაში. მოგეხსენებათ, ისრაელში ქართული თეატრალური კოლექტივები ამოყვარულებითაა დაკომპლექტებული, შესაბამისად მათი დონე საკმაოდ დაბალი იყო. 2004–ში მეც დავდგი მათთან ერთად სპექტაკლი, რომელიც მუსიკალურადაც გავაფორმე და მისთვის 6 სიმღერაც დავწერე. სცენარშიც კი შევიტანე კორექცია. ამან მიბიძგა დამეწერა რამდენიმე პიესა. ერთი მათგანი, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში“, თბილისის მარჯანიშვილის თეატრში მოიწონეს და 2014–ში დაიდგა სათაურით „შევხვდებით სამოთხეში“. სპექტაკლი წლების განმავლობაში ანშლაგით მიდიოდა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიუხედავად ამ წარმატებისა, თავს დრამატურგად არ ვთვლი და არც თუმცა, ეს სფეროც მაინტერესებს და ორი წლის წინათ დაწერილ პიესას ვამზადებ სცენაზე დასადგმელად.

ლ. კ. ვისაუბროთ განათლებაზე, წოდებებსა და სამსახურზე.

ა. პ.1974 წელს დავამთავრე თბილისის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკ-ი, სპეციალობით: გამოთვლითი მათემატიკა. მანამდე, 1970წ. დავამთავრე დ.არაყიშვილის სახ. პირველი სამუსიკო სასწავლებელი ვიოლინოს განხრით. 1975–1977 წლებში ვსწავლობდი მიზნობრივ ასპირანტურაში, მოსკოვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. 1982 წელს დავიცავი დისარტაცია ხელოვნური ინტელექტის შექმნის საკითხებზე და მომენიჭა ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდტის წოდება. 1982–1990 წლებში ვმუშაობდი საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრში ინფორმატიკის განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო 1990 წელს გავხდი საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ავტომატიზირებული სისტემების დანერგვის გამო. დაახლოების ათი წელი დოცენტის თანამდებობაზე ვასწავლიდი უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე, ასევე განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. ამ პერიოდში გამოქვეყნებული მაქვს 20–ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ერთი მონოგრაფია და ინფორმატიკის სახელმძღვანელო სკოლებისა და პროფსასწავლებლებისთვის. 1990 წელს ოჯახთან ერთად ამოვედი ისრაელში. აქ წლების განმავლობაში ვმუშაობდი „ჰაიტეკის“ კომპანიებსა და კერძო ფირმებში. ერთი წელი ვიმუშავე საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესში ინტერნეტ–საიტის შექმნაზე და ამ საიტის ადმინისტრატორად.

ლ. კ. მინდა მეტად სათნო და ქალურ მანანაზე გვითხრა რამე. ოჯახში ჭირვეულია, თუ ყოველთვის დამყოლი?

ა. პ. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ მის საყვედურს ვერიდები, აუცილებლად მეტყვის: „ არ მიყვარს როცა თავის ახლობლებს ადიდებენ“. მე კი, შემიძლია უსასრულოდ ვაქო მანანა, არა მხოლოდ როგორც მეუღლე, არამედ როგორც არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც მოვლენილია, რომ ყველას ასიამოვნოს. უნდა ყველას გაუგოს და მისი ტკივილი გულთან მიაქვს. ახალდაქორწინებულებულნი ვიყავით, როცა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ დედაჩემს გაუწია მზრუნველობა. მე ამას არასოდეს დავივიწყებ. იმდენად ყურადღებიანია ყველას მიმართ, რომ ჩემთვის და შვილებისთვის მოუკლია ყურადღება, რომ ვიღაცისთვის ხელი გაემართა. უაღრესად სათნო, უერთგულესი და ძალიან გონიერი ადამიანია. ბევრ ჩემს წარმატებას მას ვუმადლი, დაწყებული სამეცნიერო კარიერით მუსიკალერი შემოქმედებით დამთავრებული. მანანა ჩემი პირვლი კრიტიკოსიცაა და შემფასებელიც. აი, ჭირვეულია მაშინ, როცა მე დაუსაბუთებლად რაღაცის დამტკიცებას ვცდილობ, ის კი, კრიტიკის ქარცეცხლში მატარებს და ძალიან ხშირად ჩვენი „შერკინება“ მის სასარგებლოდ მთავრდება. სხვათაშორის,ასეთ ადამიანებს „ფრაერებს“ ეძახიან. მე მიმაჩნია, რომ ეს მისი ყველაზე ძლიერი თვისებაა. აქ შევჩერდები, თორემ მის „რისხვას“ ვერ გადავურჩები.

ლ. კ. მახსოვს, ერთ-ერთ საუბარში თქვი, რომ შვილების გულისთვის მივატოვეთ მე და მანანამ აწყობილი ცხოვრება და კარიერაო. ეს ალიის გამო საყვედური იყო?

ა.პ. რა იქნებოდა საქართველოში რომ დავრჩენილიყავით? რ თქმა უნდა, ჩვენც გავუძლებდით იმ ყოფით შეჭირვებას, რაც 90–იან წლებში იყო, ისე, როგორც ჩემი დის, ეთერის ოჯახმა გაუძლო. ჩვენ, ორმა მათემატიკოსმა ალიასთან დაკავშირებული ყველა პლიუსი და მინუსი გავითვალისწინეთ, მთავარმა პლიუსმა, შვილების მომავლის პერსპექტივამ გადასწონა. ამის წინაპირობა იყო ჩვენი სტუმრობა ისრაელში, ჩემი დის მედიკოს ოჯახში. აღტაცებულები ვიყავით ქვეყანაში მოგზაურობით. რუსულენოვანი გაზეთები, თუ „ალია საქართველოდან“ აქვეყნებდნენ სტატიებს იმედისმომცემ პროექტებზე, საბჭოთა კავშირიდან ამოსულებისთვის ბინების მშენებლობაზე და პროფესიულ აბსორბციაზე. საწუხაროდ, ბევრი რამ მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და ზოგიერთმა თაღლითმა ადამიანმა რეპატრიანტების უსუსური მდგომარეობით ისარგებლა. ეს ჩვენს ოჯახსაც შეეხო, მაგრამ რეტროსპექტულად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული აღმოჩნდა. ძალიან გაგვიჭირდა მენტალობის, ენის უცოდინარობის გამო და შეცდომებიც დავუშვით, მაგრამ ჩვენმა შვილებმა ისეთ წარმატებას მიაღწიეს ისრაელში, როგორსაც იქ ვერ მიაღწევდნენ. ჩვენ საკმაოდ კმაყოფილი ვართ წმინდა მიწაზე შექმნილი დღევანდელობით. საქართველოზე კი, დღემდე გვწყდება გული.

ლ. კ. შენი ორივე ვაჟი, ალეკოც და მიშიკოც, მონაწილეობდნენ ჩემს პროექტში „გაიცანით თქვენი შვილები“. როცა ახლოს გავიცანი, მივხვდი, რომ პროფესიული მიღწევების გარდა, ოჯახის ანაბეჭდიც ატყვიათ.

როგორი მამაა ალექს პელეგი?

ა. პ. ერთ-ერთი სირთულე შვილების კალაპოტში ჩაყენება იყო. მე და მანანა ისეთ თავბრუდახვევ ფერხულში ჩავებით, რომ ბავშვებისთვის მინიმალური ყურადღების დროც არ გვქონდა. საბედნიეროდ, ეს ფუნქცია თავის თავზე აიღო მანანას დედამ (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!) და ეს დიდი შვება იყო ჩვენთვის. შეკითხვას, თუ როგორი მამა ვარ, ეს შემთხვევა გასცემს პასუხს. ჩემი უმცროსი ვაჟი, მიშიკო, 20 წლის გახდა და მეგობრები დაპატიჟა. როცა მისი სადღეგრძელო წარმოვთქვი, მიშიკომ ისეთი რამ თქვა, რომ სიცოცხლეში არ დამავიწყდება: „ სამუდამოდ მადლიერი ვიქნები მამაჩემის, რომელმაც მასწავლა, თუ რას ნიშნავს იყო კაცი, რომლის სიტყვა სიტყვაა, რომელმაც იცის მშობლების, მეგობრობის ფასი“. ამ მოულოდნელმა „აღსარებამ“ ისე ამაღელვა, და თალცრემლიანმა მაგრად ჩავიკარი გულში. ორიოდე სიტყვა თქვენს უნიკალურ პროექტზე „გაიცანით თქვენი შვილები“. არცერთი საღამო არ გამომიტოვებია და ყოველთვის აღფრთოვანებული ვბრუნდებოდი ნანახით

თუ გაგონილით. ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენმა თაობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა შვილები ისრაელში ამოიყვანა და ძალღონე არ დაიშურა მათი ბედნიერი მომავლისათვის. მადლობა ლია, რომ ასე ლაკონური, კონცენტრირებული ფორმით „გაგვაცანი ჩვენი შვილები“, მე სხვისი და სხვებს — ჩემი.

ლ. კ. ყველა ამბობს, რომ თითოეული ნაწარმოები მისი პირმშოა და ყველა თანაბრად უყვარს. შენ თუ გამოყოფ რომელიმე მათგანს?

ა. პ. რა თქმა უნდა, რომ ყველა სიმღერა მიყვარს. მათ შექმნასთან მთელი ისტორიებია დაკავშირებული და მათი მოყოლა, შორს წაგვიყვანს. მაინც გამოვყოფ ჩემი უსაყვარლესი პოეტის, მორის ფოცხიშვილის ლექსზე 80–იან წლების მიწურულს დაწერილ სიმღერას, „ბილინგვა“. სწორედ მაშინ ზვიად გამსახურდია გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე ნაციონალური იდეით და საზოგადოება ორ ბანაკად დაიყო: „ზვიადისტებად და მოწინააღმდეეგებად“. სიტყვა “ბილინგვა“ ორენოვნებას ნიშნავს, მაგრამ ბატონი მორისი საზოგადოებრივი ცნობიერების გაორებას გულისხმობს სიტყვებში: „ნახევარი საქართველო ფხიზელია, ნახევარი საქართველო მთვრალია“. ეს სიმღერა ჩემთვის ძალზედ ღირებული და ძვირფასია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაპირისპირება ჯერაც არ დამცხრალა, მე მაინც ფრთხილი ოპტიმიზმით სიმღერის დასასრულს ვმღერი: (საქართველო) “ფიქრია, ტკივილია, იმედია, გულია“. მეორე, ესაა სიმღერა „ლოცვა ერისა“. ტექსტის ავტორი გახლავთ თემის გამორჩეული პოეტი, ქალბატონი სიმხა ადარი. 2004 წელს მე და ლუიზა მანაშეროვი მიგვიწვიეს ისრაელის ქართულენოვან რადიოში და გადაცემის შემდეგ, რადიოს წამყვანმა, მერი ამშიკაშვილმა, საჩუქრად გადმომცა სიმხა ადარის ლექსების კრებული, რომლის ერთ-ერთი მარგალიტია „ლოცვა ერისა“. მეამაყება, რომ ამ ლექსზე მუსიკა დავწერე. მინდა გამოვყო კიდევ ორი სიმღერა, რომლებიც შევქმენით მე და სულო სეფიაშვილმა. ესაა სიმღერები 6 მილიონი ებრაელისა და ისრაელის ომებში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის საპატივცემოდ: „ლაღო სიყმაწვილევ“ და „დუმილის წუთი“. შემიძლია კიდევ გიამბოთ, მაგრამ მკითხველს ვურჩევდი ოუ თუბე–ში ჩემი სიმღერები მოისმინოს და მათ ავკარგიანობაზე თავად იმსჯელოს. თქვენი ყურადღების ღირსად მიმაჩნია კიდევ ორ სიმღერაზე გესაუბროთ: „დამაბრუნეთ ბავშვობაში“ (ლექსის ავტორი ქეთი რევიშვილი), რომელიც ჩემს დღევანდელ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, იმას, თუ როგორ მენატრება კეთილი ადამიანებით გარშემორტყმული ჩემი უზრუნველი ბავშვობა. და მეორე, სიმღერა „ჩემი თბილისი ისევ მეძახის“ (ლექსის ავტორი, დოდო ხუხაშვილი), სიმღერა უსაყვარლეს ქალაქზე, რომელთანაც ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები, დღეები და საათები მაკავშირებს.

ლ. კ. კრებულზე „მთელი ცხოვრება რაღაცას ვეძებთ“რას იტყოდით?

ა. პ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მინდა ამ წიგნთან დაკავშირებით ვთქვა ისაა, რომ მისი გამოცემა ჩემი ცხოვრების მთავარ და დიდ საქმედ მიმაჩნია. იმიტომ, რომ მან ჩვიდმეტ პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, რომელთა რჩეულ ლექსებზე ჩემს მიერ დაწერილი სიმღერები იქნა განთავსებული ამ წიგნში, ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი წუთები განაცდევინა, მე, კი, როგორც იდეისა და პროექტის ავტორს, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. თავად იდეა დიდხანს მწიფდებოდა. ვხედავდი რა, თუ როგორ განიცდიდნენ ჩემი სიმღერების ტექსტების ავტორები, ისრაელში მოღვაწე პოეტები, როცა ჩვენი ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი საჯაროვდებოდა კონცერტებზე ან ჩემს ალბომებში, მათ სიხარულისგან გაბრწყინებულ თვალებს, როცა მათ ნათესავები, ნაცნობ–მეგობრები ულოცავდნენ, გადავწყვიტე პროცესი უფრო მასშტაბური გამეხადა და ერთ წიგნში მომეთავსებინა არა მხოლოდ სიმღერები, არამედ მათი საუკეთესო ლექსებიც. თავიდან მინდოდა 18 ავტორის შეყვანა, მაგრამ საბოლოოდ 17–ით შემოვიფარგლე. ვერ შევძელი ერთი ავტორის, აწგანსვენებული, იაკობ ჩიკვაშვილის პოეტური მემკვიდრეობის განმგებელი ადამიანების დათანხმება იმაზე, რომ მოეცათ გამოსაქვეყნებლად პოეტის რჩეული ლექსები. მის ერთ ლექსზე სიმღერა უკვე არსებობდა „ხარი“. ავტორები დამთანხმდენენ შემერჩია მხოლოდ ის ლექსები, რომელსაც თავად ჩავთვლიდი მიზანშეწონილად. ამ სელექციურ მუშაობაში, ლომის წილი მიუძღვის ჩემს მეგობარს, თავად არაჩვეულებრივ პოეტს, ბატონ სულო სეფიაშვილს. მანვე გააკეთა წიგნის ულამაზესი დიზაინი და ზუსტად მოარგო ჩემს ჩანაფიქრს. წელიწადნახევრის საინტერესო შრომისა და დიდი ფინანსური ხარჯის შედეგად, წიგნი გამოიცა. პრეზენტაციის მსვლელობისას ყველა ავტორს მიეცა საშუალება გამოეხატა თავისი დამოკიდებულება წიგნისადმი. შესრულდა ჩვიდმეტივე სიმღერა და ეს საღამო დაუვიწყარი იქნება ჩემთვისაც, ამ პოეტებისთვისაც და ყველასთვის, ვინც დარბაზში იმყოფებოდა და გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა თითოეულ გამომსვლელს. ოვაციებს, ყვავილებსა და მოლოცვებს, ვინ მოთვლის. სამწუხაროდ, ამ პოეტთაგან ბევრმა დატოვა წუთისოფელი, მაგრამ მათი სახელები, სურათები, ლექსები და სიმღერები, სამუდამოდ დარჩნენ წიგნ–ალბომში, რომელსაც ასევე ვუწოდე „ამღერებული სტრიქონები“. მინდა ავღნიშნო, რომ წიგნის გამოცემა საკმაოდ დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული და დახმარება ვთხოვე ჩემი სიყრმის მეგობარს, შემდგომში ჩვენი ოჯახის სიძეს, აწგანსვენებულ ბატონ რომან ბინიაშვილს. თავად ხელოვნების მოტრფიალემ, ანტიკური მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების ექსპერტ– სპეციალისტმა, ქალაქური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელმა, საჭირო თანხის ერთი მესამედი გაიღო, რისთვისაც მუდამ მისი მადლიერი ვიქნები .

ძვირფასო მკითხველო, ალექს პელეგი თავს არიდებს თავის გეგმებზე ლაპარაკს, რამეთუ ჩვენი სინამდვილედან გამომდინარე, დაპირებების დრო არ არის. მეტად დასანანი ფაქტის მოწმენი გავხდით, როცა 2020 წლის ივნისში მის მიერ შესანიშნავი მომღერლის, ლაშა ღლონტის ორგანიზებულ კონცერტს დაუნდობელმა პანდემიამ წითელი შუქი აუნთო და უსაზღვროდ დასწყვიტა გული ქართული მუსიკის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს. და მაინც, ისრაელისა და საქართველოს მუსიკის მოყვარულნი იმედით ელიან მომავალს.

ლია კრიხელი
აპრილი, ისრაელი.

ლევან შემეში — შიმშილაშვილის ვერნისაჟი

იხილეთ მე-8 გვერდი

სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

დოდო ჩიკვაშვილი

(დასაწყისი იხ. „მ“ №3,4,5)

რევაზ სეფიაშვილი Revaz Sepiashvili - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი. 1978 წელს ყუბანის სამედიცინო ინსტიტუტში, კრასნოდარში დაასრულა სწავლა. 1978 -82 წწ. სწავლობდა ასპირანტურაში, მუშაობდა პათოფიზიოლოგიის კათედრაზე. 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა წყალტუბოში ორგანიზებულ იმუნოლოგიურ ცენტრს. 1989 წ. სეფიაშვილმა წარმატებით ჩაატარა იმუნოლოგთა I საუნივერსიტეტო კონგრესი სოჭში. აკადემიკოს რ. ვ. პეტროვის წინადადებით აირჩიეს საბჭოს, პრეზიდიუმის წევრად და იმუნოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად. 1990 წელს წყალტუბოში შექმნა და ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. 2016 წელს იგი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად - ახალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელი - იმუნორეაბილიტაცია. 350-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხოურ პერიოდულ გამოცემებში, სახელმძღვანელო „შესავალი იმუნოლოგიაში“ ავტორია, გამოაქვეყნა 18 მონოგრაფია და სახელმძღვანელო იმუნური სისტემის რეაბილიტაციისა, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემების შესახებ. სამეცნიერო ჟურნალების დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: “ალერგოლოგია და იმუნოლოგია”; “ასთმა”; “იმუნური რეაბილიტაციის საერთაშორისო ჟურნალი”; სარედაქციო საბჭოების წევრი: «Elsevier» - «Clinical and Applied Immunology Reviews» და «llergy, Clinical Immunology International» (Journal of the World Allergy Organization). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ექსპერტი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის საექსპერტო საბჭოს წევრი (2002 წლიდან). მისი ხელმძღვანელობით 9 სადოქტორო და 20 სამაგისტრო დისერტაცია არის წარდგენილი.

იოსებ დავარი Joseph Davar (სოსო, თენგიზ დავარაშვილი) – 1978 წელსწითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმ-თერაპევტის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდიდან ეწევა სამეცნიერო კვლევას გულის სხვადასხვა სახის დაავადებათა მკურნალობის სფეროში. აქვს გამოქვეყნებული 100-მდე პუბლიკაცია წამყვან სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში. ავტორი მონოგრაფიების (1985) „მიტრალური სარქველის პროლაფსი“, „ექოკარდიოგრაფიის ატლასი“(1988). დავარი ადრე მოღვაწეობდა თბილისსა და მოსკოვში, სადაც მიენიჭა სსრკ მეცნიერებათა სამედიცინო აკადემიის საპატიო მიასნიკოვის სახ. პრემია. კვლევას და სტაჟირებას გადიოიდა ლიტვის, გერმანიის და ბრიტანეთის წამყვან კარდიო ცენტრებში. დაიცვა ჯერ საკანდიდატო (1983) და შემდგომ (1991) სადოქტორო დისერტაცია დოპლერექოკარდიოგრაფიაში. 1993 წლიდან გადადის ლონდონში. დავარი რეგულარულად ატარებს ლექციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპული კომიტეტის ქვეყნებში. დავარი უკვე აღიარებულია მისი მიღწევების სფეროში, მათ შორის დაჯილდოვდა კვლევის British eart Foundation grantiT და არჩეულია ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის (2011 წ.) საერთაშორისო თანამშრომელად.

ლონდონში საქმიანობა მოიცავს Consultant Cardiologist at the Royal Free Hospital in Hampstead, ondon and Honorary Senior Lecturer at UCL. მისი პრაქტიკა ლონდონში: The Wellington Hospital; The Wellington Diagnostic Centre; Hospital of St John & St Elizabeth; The Garden Hospital and Spire Bushey Hospital. კვლევის სფერო მოიცავს Non-Invasive Diagnosis and Management of Coronary Artery Disease, Valvular Heart Disease, Heart Failure and Hypertension, Cardiomyopathies (diseases of heart muscles), including Chemotherapy induced Cardiomyopathies. არის წევრი ბრიტანეთის, ევროპის და ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების, აღიარებული მკვლევარი, მენტორი და კლინიცისტი ამ სფეროში. გახლავთ ექსპერტი: არაინვაზიური გულის კვლევაში (echo, სტრესი, გულის CT), გულის იშემიური დაავადება, უკმარისობა, სარქველების დაავადება, კარცინოიდული გულის დაავადება, ჰიპერტენზია.

თეიმურაზ ელიგულაშვილი - მედიცინის დოქტორი Newark Beit Israel hospital-ის ძილის ცენტრის კლინიკური დირექტორი გახლავთ. დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი სეჩენოვის სახ. 1 სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და სამეცნიერო კვლევა განაგრძო ძილის მედიცინასთან დაკავშირებულ საკითხებში. ორ ეტაპად დაიცვა საკვალიფიკაციო ხარისხი. 1989 წ. „ეპილეფსიით და ნეიროგენული გულყრით დაავადებულთა ძილის აღკვეთა (კლინიკური და ფიზიოლოგიური კვლევები)“; 1998 წელს „ძილში აპნოეს სინდრომის ნევროლოგიური ასპექტები“. 2002 წ. მისი თანაავტორობით გამოიცა მონოგრაფია „აპნოეს სინდრომი ძილის დროს“.

რიმა ბარ იოსები Rimma Bar Yoseb (კაკიაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული(1980 წ.), ნევროლოგიის სპეციალიზაციით განაგრძობს ორდინატურას ნევროლოგიის საავადმყოფოში. თბილისში (1987-2002 წწ.) მუშაობდა მთავარ ექიმად ზოგადი ნევროლოგიის დეპარტამენტში და კლინიკური ელექტროფიზიოლოგიის ლაბორატორიაში კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ეროვნულ ცენტრში. კლინიკური და კვლევითი მასალის დაგროვების შემდეგ იცავს საკვალიფიკაციო ნაშრომს ნევროლოგიაში და ენიჭება ჰ ხარისხი (1995). გამოცდილი ნევროლოგი გახლდათ ამ ცენტრის ეპილეფსიის დაავადების ექსპერტი და სამედიცინო კონსულტანტი, კომპიუტერული ტომოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2006-2010 წწ. ისრაელში, საავადმყოფო asaf-a-rofe, ნევროლოგიის სპეციალიზაციით გაიარა რეზიდენტურა. 2010 წლიდან სამედიცინო ცენტრში ადასსაჰ ინ ერემ, ეპილეფსიის კათედრაზე ნევროლოგიის განყოფილებაში მოღვაწეობს. ნევროლოგიის ექსპერტი, ირუშალაიმის ოლქში, ექიმი-ეპილეპტოლოგი გახლავთ Clalit-ის ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების კომპანიაში.

ბარი ჩიკმანი Bar Chikman (ბორის ჩიკვაშვილი) - სამედიცინო ცენტრი Assaf Harofeh, უმაღლესი კატეგორიის ქირურგი, მკერდის ქირურგიის განყოფილებას განაგებს. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მკერდის კიბოს პროგნოზირების, მიმდინარეობის და მკურნალობის თანამედროვე მიდგომა“ ბლოხინის სახ. ეროვნულ სამედიცინო ონკოლოგიის კვლევით ცენტრში. 30-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი გახლავთ. ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერებასა და ტექნიკაში. ქირურგი-ოპერატორი ასუნტას საავადმყოფოში და მაკაბის ჯანმრთელობის დაზღვევის სალაროში.

ალექს სეფერი Alex Sepper (სეფიაშვილი) - სწავლობდა მოსკოვის 1 სამედიცინო ინსტიტუტში (1969-72წწ.), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1976 წ.). მსახურობდა საქართველოს ეროვნულ ონკოლოგიურ ცენტრში (1980-94 წწ.). PhD თემაზე:

„სარძევე ჯირკვლის კისტის წარმოქმნაში პათოფიზიოლოგიური მექანიზმების შეფასება, რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა გენეზის ჰორმონალური დისფუნქციით“ სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 1984 წელს. 1997 წლიდან მოღვაწეობს აშშ-ში სამეცნიერო კომპანია BioNova, Inc. Department of Research & Development. ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსების ნანოტექნოლოგია ხდება თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსები ხშირად ანაცვლებს ტრადიციულ მიდგომებს ბიო-ფარმაცევტულ, ნუტრიცუტიკულ და კოსმოსურ ინდუსტრიებში და აჯილდოვებს მილიონობით მომხმარებელს მაღალეფექტური პროდუქტით. ბოლოდროინდელი ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, რომ ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსების ნანოტექნოლოგია ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს 21-ე საუკუნის მეცნიერებაში. მან შეძლო უნიკალური წვლილი შეეტანა ამ სფეროში, როგორც მკვლევარს და გამოცდილ ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკოს ექიმს. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში (2002 – 2013წწ.). ინვესტიციები და წინადადებების რაციონალიზაციის გრანტების მომპოვებელია. აქვს მრავალი პუბლიკაცია სტატიების და წიგნების სახით, როგორც ონკოლოგიის განხრით, ასევე “ნანოტექნოლოგიური პლატფორმა პროდუქტების განვითარებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია თვითმმართველობის სამკურნალო პროცესების გაძლიერებაზე“ (პროფ. მ. დანიელოვთან თანაავტორობით).

დავით დავარაშვილი David Davarashvili - წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, მეან-გინეკოლოგის სპეციალობით (1981). სტუდენტობიდან ჩართული იყო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში. ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში გინეკოლოგიის კათედრაზე ლენინგრადის კიროვის სახ. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. ბრუნდება საქართველოში, მუშაობს კ.ჩაჩავას სახ. პერინატანული მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1988 წ. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია: „არაინვაზიური ულტრაბგერითი დოპლერ მეთოდით სისხლის მიმოქცევის შესწავლა ნაყოფის, ჭიპლარისა და საშვილოსნოს სისხლძარღვებში“. გაიარა სტაჟირება ლონდონის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში (1993, 1998, 2000 წწ.). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია. დანერგილი აქვს პიონერული მეთოდები საქართველოში: გენეტიკური და სამკურნალო ამნიოცენტეზი, ტრანსაბდომინური ქორიონის ბიოფსია, ამნიოდრენირება სხვადასხვა გენეზის მრავალწლიანობის დროს, რეზუს კონფლიქტის დროს სისხლის გადასხმა ჭიპლარში ორსულობის დროს და ა.შ. ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

2015 წლიდან კერძო კლინიკის დირექტორი გახლავთ - DDC.

გოლდა გუდესი Golda Hudes (ჩიკვაშვილი) - დოქტორი, ასისტენტ პროფესორი Albert Einstein College of Medicine ალერგიის, იმუნოლოგიის და ოტორინოლარენგოლოგიის კათედრაზე.

განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, ალერგოლოგიაში დაიცვა დისერტაცია PhD (1979 წ.). თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრის კვლევით ინსტიტუტში განყოფილების უფროსად მუშაობდა და იკვლევდა კარსტულ მღვიმეებში სპელეოთერაპიის გამოყენებით მკურნალობით გამოწვეულ იმუნურ ცვლილებებს ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტებში. სტაჟირება და რეზიდენტურა etropolitan Hospital Center, Stony Brook University Medical Center, and Jacobi Medical Center; and the Einstein Allergy/Immunology. მისი კვლევა ეხება ასთმის და ქრონიკული რინოსინუსიტის მკურნალობას. ჩართულია მრავალ კლინიკურ კვლევაში: ასთმით დაავადებულთა ტრადიციული და ექსპერიმენტული პრეპარატების ეფექტურობის და უსაფრთხოების საექსპერტო შეფასებაში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, რეფერატები, მიმოხილვითი სტატიები, ავტორია წიგნებში შეტანილ მასალებისა. იგი მრავალი სამედიცინო კოლეჯის სტუდენტის მენტორი გახლავთ. დოქტორი გუდესი არის ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული აკადემიის, აღმასრულებელი კომიტეტის New York ალერგიისა და და ასთმის საზოგადოების წევრი, სადაც იგი სხვადასხვა პერიოდში მსახურობდა როგორც პრეზიდენტი, ხაზინადარი და მდივანი.

ნონა რაფაელი Nona Raphaeli (ჩიკვაშვილი) - იაროსლავლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1981 წ.). ინტერნატურას თერაპიაში გადის, ინიშნება ქ. ქუთაისის პირველი საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსად. აქ გაიარა ორდინატურა პულმონოლოგიაში და ამავე განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა. დახელოვნებას განაგრძობს ლენინგრადის პულმონოლოგიურ ინსტიტუტში, ითვისებს ფილტვის პათოლოგიის მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. 1995 წელს, ისრაელში ამოსვლისთანავე, სტაჟირებას გადის asaf-a-rofes საავადმყოფოში. შემდგომ „კლალიტ“ის სალაროში. 2000 წელს წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს და უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის მთავარ თერაპევტად ინიშნება. ამ სამსახურის მაიორის წოდება აქვს. პერმანენტულად განაგრძობს დახელოვნებას

და სიახლეთა ათვისებას. პარალელურად ეწევა კვლევით სამუშაოს ციხის ავადმყოფთა შიდსის, ტუბერკულიოზის დაავადებათა გამოვლენა-მკურნალობის საკითხებში.

ნანა ბენ ცვი Nana Ben Zvi (სეფიაშვილი) – სწავლა ქ.ივანოვოში დაიწყო და დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (1982 წ.). რეზიდენტურა კლინიკური ონკოლოგია და რადიოთერაპიაში გაიარა ონკოლოგიის ინსტიტუტში, სანკტ-პეტერბურგში (1983 წ.); 1990 წ. სხივურ თერაპიაში, მოსკოვის ონკოლოგიის ცენტრში. 1984-89 წწ. - თბილისის ონკოლოგიის ცენტრში - ექიმი-რადიოთერაპევტი. 1991 წ. ამოდის ისრაელში და 1999 წლამდე გაიარა ონკოლოგიური და რადიაციული თერაპიის რეზიდენტურა თელ- აშომერის სამედიცინო ცენტრში. 1999-2007 წწ. - უფროსი ონკოლოგი Kaplan Medical Center. ამ პერიოდში იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში სალექციო კურს კითხულობდა. არის რამდენიმე ასოციაციის აქტიური წევრი, მათ შორის: Israeli ედიცალ სსოციატიონ, Israeli Society of Clinical Oncology and Radiation Therapy, Israeli Society for Gynecological Oncology, American Society of Clinical Oncology. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგები

სამედიცინო აკადემიურ გამოცემებში. 2008 წლიდან დოქტორი ნანა ბენ ცვი რადიაციული თერაპევტი და ონკოლოგი ოვარტის კორპორაციის სამედიცინო დირექტორია ონკოლოგიის სფეროში. მას აქვს ღრმა ცოდნა და პრაქტიკა ონკოპრერატების გამოყენებაში. Novartis International ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კორპორაციაა, ინოვაციური მედიკამენტების შექმნის, განვითარებისა და შესწავლის ახალი დაპატენტებული წამლების

წარმოების და გაყიდვისა; აგრეთვე რეცეპტული პრეპარატების გაყიდვა ონკოლოგიური, იმუნოლოგიის, ტრანსპლანტაციის, კარდიოლოგიის, დერმატოლოგიის, ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, ენდოკრინოლოგიის და სხვა მრავალი მედიცინის სფეროებში. ღირსეულად წარმოაჩენს ისრაელს მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

რამი იაკობი Ramy Yakobi (იაკობიშვილი) – სამედიცინო განათლება 1982-90 წწ. პადუას (იტალია) უნივერსიტეტში მიიღო, შემდგომ ტენესის უნივერსიტეტში (აშშ) მიენიჭა ჯანმრთელობის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ინტერნატურა ნიუ-იორკის მაიმონიდის სამედიცინო ცენტრში, რეზიდენტურა მეტროპოლიტენ ჰოსპიტალში, სასწრაფო (გადაუდებელი) დახმარების განყოფილებაში. შემდგომ მოღვაწეობდა კორნელის სამედიცინო კოლეჯში, სასწრაფო დახმარების კათედრის დოცენტად. 2007 წლიდან ბეით ისრაელის გადაუდებელი დახმარების განყოფილების გამგე, ატარებს სალექციო კურსს. გამოსცა სახელმძღვანელო „ Handbook of Emergency Medicine". 2018 წლიდან სენტ- მაიკლის სამედიცინო ცენტრის თავმჯდომარეა. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში და მოხსენებულია სამეცნიერო კონფერენციებზე. წლების მანძილზე განაგრძობს გადაუდებელი დახმარების სფეროში სწავლებას ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიაში. პაციენტებთან ურთიერთობას სამედიცინო პრაქტიკაში ენების ცოდნა უმარტივებს: ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ივრითი. მიხაილ დანიელოვი Michael Danielov - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში (1976–1989 წ.) მოღვაწეობდა; დაარსა და ხელმძღვანელობდა ჰორმონების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რადიონუკლიდების მიკროანალიზის ლაბორატორიას. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია პათოფიზიოლოგიაში (1985 წ.). გადადის საცხოვრებლად ამერიკაში, სადაც ანვითარებს ამ სფეროში სუბსიდირებულ კვლევას (1990-97 წწ.). 1997 წელს, დაარსების დღიდან მსახურობდა BIONOVA–ს აღმასრულებელ უფროსად და პრეზიდენტად, შეიმუშავა ბრენდის სტრატეგიული მიმართულება და ზედამხედველობას უწევს ყველა კვლევასა და ოპერაციას. პროფესორმა მ.დანილოვმა ჩაატარა ძალიან რთული, ვრცელი და ძვირადღირებული ექსპერიმენტები, რომლის მეშვეობითაც შესწავლილი იქნა ჰომეოსტაზის მარეგულირებელი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების 80-ზე მეტი (სამეცნიერო კვლევა იყო მიმართული ჰორმონების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ინტერ- და უჯრედგარეშე სიგნალიზაციაზე) და 100-ზე მეტი ჰემოდინამიკური პარამეტრები. შემუშავებულმა მოდელებმა საშუალება მისცეს პროფ.დანიელოვს, სრულყოფილად გააცნობიეროს დინამიკა იმისა, სასიცოცხლო სისტემები თუ როგორ არეგულირებს უჯრედშიდა პროცესებს. პირველი კომერციული ნანოტექნოლოგიური მიდგომა მეცნიერების მიღწევების დანერგვისა სასიცოცხლო ინდუსტრიაში. მიზნობრივად ანოცომპლეხ BIONOVA სარგებლობით შესაძლებელია შეცვლა თითოეული პროდუქტის სამომხმარებლო, კონკრეტული კანის მოთხოვნილებისამებრ. პიონერული სამეცნიერო ბიოსაინჟინრო მიდგომის შედეგად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროფესორმა დანიელოვმა განავითარა სხვადასხვა პროდუქცია Opti-Path ™ და NuCell-Direct ™. არის ავტორი 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის და წიგნის "Pathogeneses and Tanatogenesis of Post-Aggressive Reactions of the Living Organism".

რაფაელ ენუქაშვილი Raphael Enukashvili - განათლება მიიღო მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიაში, ასპირანტურაში სწავლა და კვლევა სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის (მოსკოვი) კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტში. დაიცვა PhD ხარისხი ფიზიოლოგიაში. საცხოვრებლადგადადის აშშ-ში. რეზიდენტურა შინაგანი და გერიატრიულ მედიცინაში გაიარა Metropolitan ospital Center of New York Medical College, NYC და Bergen Regional Medical Center UMDNJ, Paramus. სწავლების პროგრამა გერიატრიაში დაასრულა Hackensack University Medical Center UMDNJ. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში პრაქტიკოსი-ექიმი გახლავთ კომპანია Marlboro, NJ.

uri SabTo Uri Shabto (SafToSvili) - Sacsh Corp პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი, Harvard Medical School კურდამთავრებულია (1982-1986 წწ.). ინტერნატურა ოფტოლმოლოგიაში გაიარა Lenox Hill Hospital. 25 წლის განმავლობაში მსახურობდა President Retina Consultants of Employment. ამ პერიოდში მრავალჯერ დასახელდა America's Top Doctors. გამოცდილი პროფესიონალი მიწვეულ იქნა მრჩეველად და ექსპერტად ბიოტექნოლოგიის ინდუსტრიის, სამედიცინო მოწყობილობების, ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჯანდაცვის, კლინიკური კვლევის, და სამედიცინო განათლების, ხარისხიანი ჯანდაცვის პროფესიული მომსახურების სამსახურში. პარალელურად Norlase, Copenhagen საბჭოს წევრია. Norlase არის განვითარებადი გლობალური ოფთალმოლოგიური სამედიცინო მოწყობილობის კომპანია, მომავალი თაობის ბადურის და გლაუკომის დაავადებათა ლაზერული მკურნალობის სფეროში. Norlase შედგება მსოფლიო ინდუსტრიის ლიდერების და ექსპერტებისაგან. წარმატებულ დასტაქარს პუბლიკაციები და პრეზენტაციები აქვს გლაუკომის და რეტინის მკურნალობის თანამედროვე მიდგომაში.

სიმონ (დობრი) იაკობაშვილი Simon Yakobashvili - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (1983) სპეციალიზაციად ირჩევს ანესთეზიოლოგიას. გამოცდილების პირველი ნაბიჯები ბათუმის მთავარ საავადმყოფოში გადადგა, შემდეგ კი რეზიდენტურა (1986-92 წწ.) სამეანო ანესთეზიაში და ანესთეზიის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის კლინიკაში. 1993 წელს ისრაელში ამოდის და ლიცენზირებული ექიმი (1994-2000 წწ.) - რეზიდენტი გახლავთ ანესთეზიის სპეციალობით ჭოლფსონ სამედიცინო ცენტრში. 2000 წლიდან მკურნალი ექიმ-ანესთეზიოლოგი ჭოლფსონ სამედიცინო ცენტრში. პარალელურად ტკივილის ლაბორატორიის გამგე კლინიკაში, მაკაბის ჯანდაცვის მომსახურების სამსახურში ინიშნება ანესთეზიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ,

და 2015 წლიდან - სამეანო ანესთეზიის ერთეულის უფროსად Wolfson სამედიცინო ცენტრში. დასტაქარის კლინიკური ინტერესი მოიცავს: გულ-სისხლძარღვთა და გულმკერდის, პედიატრიული, ზოგადი, სამეანო ანესთეზია და ტკივილის აცილების მკურნალობას. თელ- ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ლექტორი დასახელებულია წარჩინებულთა შორის ექიმთა დახელოვნების, ექთნების და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტების სასწავლო პროგრამებში. ანესთეზიაში ისრაელის საგამოცდო საბჭოს წევრია; არჩეულია ისრაელის ანესთეზიოლოგთა საზოგადოებაში. მისაბაძი კარიერული სვლა მიღწეული იქნა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვით: 2002 წელს, ლონდონში, კურსი სამეანო ანესთეზია, 2003 წელს, მიუნხენში პედიატრიულ გულის ანესთეზია, 2005, NJ, ამერიკის შეერთებული შტატები, კურსი ტკივილის აცილება, 2013 - მოდერნიზებული კურსი ანესთეზიის საკითხებში თავი, Rouen, France. სამეცნიერო კვლევის შედეგები პერიოდულ გამოცემებშია გამოქვეყნებული და მოხსენებულია საერთაშორისო სამედიცინო ფორუმებზე.

სემიონ რიჟინაშვილი Semion Rijinashvili - 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახ. კვლევითი ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიდში დაინტერესდა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოთი. ინტერნატურა გაიარა სპეციალობით მეანობა და გინეკოლოგია. ორდინატურა წარჩინებით სეჩენოვის სახ. პირველ სამედიცინო უნივერსიტეტში გაიარა. სერტიფიცირების სასწავლო კურსები მეან-გინეკოლოგიაში: ულტრაბგერითი გამოკვლევა „მეანობა და გინეკოლოგია". გულმკერდის და მუცლის ღრუს ენდოვიდეოქირურგია, მენჯის და რეტროპერიტონიალური არის (ლაპაროსკოპიული, ჰისტეროსკოპია). უმაღლესი კატეგორიის კვალიფიციური ექიმი 35 წლის სტაჟით მუშაობდა მოსკოვის მე-2 სამშობიარო სახლში მთავარი ექიმის მოადგილედ, სადაც დანერგა ლაპოროსკოპული მეთოდიკა. მე-5 სამშობიარო სახლში გინეკოლოგიის განყოფილების გამგედ და მონაწილეობდა კლინიკის ბაზაზე კერძო სამშობიარო სახლის შექმნის პროექტში. 2014 წელს მოსკოვის რეპროდუქციის და გენეტიკის ცენტრის „ФертиМед» მთავარი ექიმი და კლინიკის დირექტორი გახლავთ. კლინიკის ბაზაზე სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი, ადამიანის რეპროდუქციის და ემბრიოლოგიის ევროპული საზოგადოების (ESHRE), შღ - ამერიკის რეპროდუქციული მედიცინის საზოგადოების აქტიური წევრია. სამკურნალო პრეპარატების კლინიკურ გამოკვლევებში მონაწილეობს. სიომას ბაბუა - ცნობილი მეან-გინეკოლოგი, მიხა ფიჩხაძე, მეორე სამამულო ომში, 5 წელი ქირურგად მსახურობდა და დაბრუნდა სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდებით.

დავით სარიდი David Sarid (სარიშვილი) - ისრაელის წამყვანი ონკოლოგი, იხილოვის საავადმყოფოში ონკოლოგიური განყოფილების უფროსი ექიმი, საშარდე გზების სიმსივნეების სამსახურის ხელმძღვანელი, ბოლო 4 წელი კი სრულიად ისრაელის ონკოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი საშარდე გზების სიმსივნეების დარგში. 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. თავიდანვე დაინტერესდა სამეცნიერო კვლევით. მუშაობდა თბილისის ერთ-ერთი წამყვან საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. 1996 წელს ისრაელში ამოვიდა და ამავე წელს დაიცვა ისრაელის ექიმთა ლიცენზია. შემდგომში დახელოვნდა იხილოვის საავადმყოფოში და წარჩინებით გაიარა საკვალიფიკაციო გამოცდები ონკოლოგია-რადიოთერაპიის განხრით. ამ პერიოდში მიენიჭა ექიმ-ონკოლოგის უმაღლესი კატეგორიის წოდება. 2003 წ. გაიარა პროსტატის სიმსივნეების მკურნალობის ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსი. 2002-2020 წლებში ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევას. მათი უმრავლესობა თირკმლის, შარდის ბუშტის, პროსტატის სიმსივნეთი დაავადებულ პაციენტებში. გამოქვეყნებული აქვს 30 -ზე მეტი სამეცნიერო სტატია კლინიკურ ონკოლოგიაში და მოხსენებული აქვს მრავალი პრეზენტაცია უროლოგიურ ონკოლოგიაში საერთაშორისო ფორუმებზე. დავით სარიდი ხელმძღვანელობს თანამედროვე, ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ახალი სამკურნალო ონკოლოგიური პრეპარატების განვითარების დარგში. მრავალი წამყვანი ფარმაცევტიული კომპანიების სამედიცინო კონსულტანტი ბრძანდება. ფართო პედაგოგიური გამოცდილებაც გააჩნია: თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ლექტორი და კლინიკური ინსტრუქტორი. მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრია: ISCORT; ASCO, ESMO; IMA. 2017 წლიდან ხელმძღვანელობს ისრაელის ონკოლოგთა საზოგადოების (ISCORT-ს) ურო-ონკოლოგიურ ჯგუფს. მსგავსი ნიჭიერება, ნებისყოფა, სწრაფვა მიზნის მისაღწევად, პროფესიული ინტელექტი, დამკვიდრება დასტაქართა საზოგადოებაში არის მტკიცება გენეტიკური მეხსეერებისა, რათა დავით სარიდი ექიმთა ოჯახში მესამე თაობა გახლავთ.

ვლადიმირ (ვოვა) კაკიტელაშვილი Vladimir Kakitelashvili - მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1986 წ.). რეზიდენტურა უროლოგიის ინსტიტუტში გაიარა და სამეცნიერო კვლევის შედეგები 1991 წ. წარადგინა სადისერტაციო ნაშრომში თემაზე: „თირკმლის ჰიპერტენზიით დაავადებულ პაციენტების მკურნალობა პროსტაგლანდინებით. პროგნოზული მნიშვნელობა." დააპატენტა ახალი გამოგონება „რენოვასკულარული არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზის მეთოდი".

1994 წელს აშშ-ში გადადის და აგრძელებს რეზიდენტურას ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უროლოგიის კათედრაზე შარდის ბუშტის კვლევით ლაბორატორიაში. შემდეგი ეტაპი რეზიდენტურა ქირურგიულ განყოფილებაში Union Memorial Hospital - ში. 1997-2002 წწ. რეზიდენტურა ზოგადი ქირურგიის და უროლოგიაში Omaha, University Nebraska. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ნეფროლოგიაში. დიდი გამოხმაურება და მაღალი შეფასება მიიღო Quebec, Canada მოხსენებამ „პირველადი ჰიპოსპადიის ანომალური წარმოქმნის ერთეტაპობრივი აღგდენა". 2002 წლიდან კერძო პრაქტიკას ეწევა მერილენდის შტატში. აქტიური წევრი გახლავთ სრულიად ამერიკის უროლოგიის ასოციაციის და კერძოდ, შუა ატლანტიკური განყოფილებისა. ებრაელთა განსაკუთრებული ლტოლვისა სამედიცინო მეცნიერების შესწავლისა და დაუფლებისადმი, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტის დასტურია ვლადიმირ კაკიტელაშვილის ოჯახი. ჯერ კიდევ 1908 წელს, ბაზელში, ვოვას ბაბუამ, ბენიამინ კაკიტელაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ხელოვნური ნაადრევი მშობიარობა", ბებია - კლარა კშონზერ-კაკიტელაშვილი (1893-1968) ექიმი სტომატოლოგი ბრძანდებოდა.

გაბი შემეშ Gabi Shemesh (შიმშელაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1978-1984) კურსდამთავრებული, სპეციალიზაციას ოფთალმოლოგიაში (თვალის მიკროქირურგიაში) მოსკოვში აგრძელებს (1988), იცავს დისერტაციას, ენიჭება PhD ხარისხი. სტაჟირება 1994-1997 წ. თელ-ავივში სამედიცინო ცენტრში სპეციალიზაციით ოფთალმოლოგია და უწყვეტი განათლების გაგრძელება თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. კლინიკური გამოცდილება: 1997- 2016 უფროსი ოფთალმოლოგი სამედიცინო ცენტრი, თელ-ავივი. ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების სხვადასხვა სალაროთა ოფთალმოლოგი. 1998 წლიდან რეფრაქციის ოპერაციების დამოუკიდებელი ოფთალმოლოგი "თვალი", ფილიალი თელ-ავივში. 2007 წ. - დამოუკიდებელი ოფთალმოლოგი, გლაუკომით დაავადებულ პაციენტთა კონსულტანტი „მაკაბის" მომსახურებისა. 2011 წლიდან კერძო პრაქტიკა ქირურგიულ ოფტალმოლოგიაში. აქტიური წევრი გახლავთ ისრაელის ასოციაცია Ophthalmologists, ასოციაცია რეფრაქციული ქირურგია, გლაუკომის ასოციაცია და ESCRS - ევროპული ასოციაციის პჰტჰალმოლოგისტს.

ნანა აივაზი Nana Aivazi (აივაზაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 1985 წელს. Lenox Hill საავადმყოფოში რეზიდენტურა დაასრულა. იგი ამჟამად ლიცენზირებული მედიცინის მუშაკი არის ნიუ იორკში. შინაგან დაავადებათა მკურნალი ექიმი ბრუკლინში, ასოცირებულია NYC ჯანდაცვის სფეროს საავადმყოფოებში: ings County, NYU Langone Health—Brooklyn, and NYC Health + Hospitals / Coney Island.

ცისანა შამლიკაშვილი Tsisana Shamlikashvili - მედიაციის და სამართლის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცენტრის პრეზიდენტი, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის გაერთიანებული მედიაციის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალის "მედიაცია და სამართალი. მედიაცია და შერიგება" მთავარი რედაქტორი. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1986). შემდეგ სწავლობდა და მუშაობდა პირველ სეჩენოვის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, ნერვული დაავადებების განყოფილებაში, სადაც მან მიიღო სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (1990). შემდგომ იურიდიული და ფსიქოლოგიური განათლება (2003). შეისწავლის საზოგადოების გავლენის საკითხებს პიროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე. 2004 წლიდან სწავლობდა მედიაციას საზღვარგარეთ (მათ შორის გერმანიაში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში) საერთაშორისო აღიარებულ სკოლებში, როგორიცაა ჰარვარდის სამართლის სკოლა;

დაასრულა სასწავლო პროგრამა წყლის დიპლომატიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის (IT da Tufts University, აშშ). არის მედიატორი, რომელიც ეხება სადავო საკითხების ფართო სპექტრს: რთული ტრანსსასაზღვრო კომერციული დავებიდან დაწყებული საოჯახო დავამდე, მემკვიდრეობის დავებზე, ფინანსურ და სადაზღვევო სფეროებში დავა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტები და ა.შ. პროფესორმა შამლიკაშვილმა დააფუძნა და ჩამოაყალიბა საკუთარი მედიაციის და სამართლის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცენტრი. 2012 წ. დასახელდა რუსეთში ათი ყველაზე გავლენიანი იურისტთაგან, მედიაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქვეყანაში მედიაციის პრაქტიკის გავრცელების იურიდიული სამსახურის ჩამოყალიბებაში. საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტი ალტერნატიული დავის გადაწყვეტის სფეროში (ADR), საერთაშორისო შუამავალი, იურისტი, ფსიქოლოგი, ნეიროპათოლოგი; პროფესორი და მედიაციის განყოფილების ხელმძღვანელი მოსკოვის სახელმწიფო ფსიქოლოგიურ- პედაგოგიური უნივერსიტეტის სოციალურ სფეროში, ამავე სახელწოდების სამაგისტრო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი, მედიაციის ფედერალური ინსტიტუტის და მოსკოვის სახელმწიფო სამართლის აკადემიაში იურიდიული პრაქტიკის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მრავალი სამეცნიერო სტატიისა და არაერთი წიგნის ავტორი მედიაციის სფეროში, დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდების, სამართლის, ფსიქოლოგიის საკითხებში.

(გაგრძელება იქნება)

მომავალ ნომერში იხილეთ ლია კრიხელის საუბარი ლევან შემეშთან და ხელოვნებათ-მცოდნე ესთერ ჯანაშვილის ანა-ლიზი ლევან შემეშის შემოქმედებისა.

რას არ იტყვის კაცის ენა!

ირანი: ისრაელი განადგურდება, ებრაელებო, იჩქარეთ, დროულად შეისყიდოთ ბინები ევროპაში!

-ისრაელი განადგურდება, ებრაელებს თუ გადარჩენა სურთ, სასწრაფოდ შეისყიდონ ბინები ევროპაში, ამერიკაში, მათ ხომ პალესტინის ოკუპაციამდე ამ კონტინენტებზე თავთავიანთი უძრავი ქონება გაყიდეს! — 29 მაისს ასეთი განცხადება გააკეთა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურმა ისმაილ ქაანიმ. ისმაილ ქაანიმ ამ პოსტზე ჩაანაცვლა კასემ სულეიმანი, რომელიც ისრაელის დაზვერვამ ერაყში გაანადგურა.

გენერალმა ისმაილ ქაანიმ ებრაელებს ურჩია იჩქარონ, ვიდრე ამ კონტინტებზე ბინები არ გაძვირებულა. შემდეგ კი მიესალმა „ჰამასის“ გმირულ ბრძოლას ,,სიონისტურ მტერთან“ და მაღალი შეფასება მისცა ღაზის სექტორის სარაკეტო არსენალს, რომლის წარმოება უშუალოდ სექტორში მიმდინარეობდაო. ქაანიმ ისიც კი თქვა, თითქოს „ისრაელი თავის მოკავშირეებს ემუდარებოდა „ჰამასთან“ ცეცხლის შეწყვეტასა და დაზავებაში დაგვეხმარეთ“ და დასძინა: პალესტინელებს შეეძლოთ, მაგრამ ისრაელის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებს საგანგებოდ არ უშენდნენ რაკეტებს — ისინი მალე მივლენ იქ, დაიკავებენ ისრაელის ტერიტორიას და ეს ობიექტები თავად დაჭირდებათ.

„ჰამასი“ ომის გაგრძელებით იქადნება

ღაზის სექტორში „ჰამასის“ ლიდერი იეჰიე სინვარი 26 მაისს „ალ ჯაზირას“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „ალ აქსასათვის დაწყებული ბრძოლა მხოლოდ დასაწყისია. იერუსალიმისა და მთელს ისრაელში არაბობას ვულოცავ ალ აქსას მეჩეთისა და შეიხ-ჯაჰარის კვარტალისათვის ბრძოლის დაწყებას. მათ დაადასტურეს, რომ ისრაელიზაციის წლები უნაყოფო გამოდგა და თანაარსებობის ორგანიზების ცდები ჩაიშალა. მათ გამარჯვება მოიპოვეს.

— ჩვენ პირველი დარტყმა მივაყენეთ ისრაელს, რათა მისმა ხელისუფლებამ გაიგოს, რომ ალ აქსას არ დავთმობთ, იერუსალიმისა და შეიჰ-ჯაჰარის კვარტალისათვის თავს გავწირავთ. ვაფრთხილებთ ისრაელს: ის, რაც მოხდა, მხოლოდ პირველი გაბრძოლება იყო ალ აქსასათვის. ისრაელის უზარმაზარმა დაზვერვამ „ჰამასის “ გეგმები ვერც კი შეამჩნია.

ტერორისტული ორგანიზაციის მეორე ლიდერი ისმაილ ჰაანია:

— „ჰამასმა “ შესძლო ისრაელისათვის თავს მოეხვია თავისი პირობები, ღაზის სექტორში ამ შერკინების შედეგად, ისრაელი დადგა ძალთა ახალი თანაფარდობის წინაშე. ისრაელმა ჩვენს ინფრასტრუქტურას მიზერული ზიანი მიაყენა — მნიშვნელოვან ობიექტებთან მიახლოებაც კი ვერ მოახერხა. ის, რასაც ისინი „ჰამასის“ მეტროს ეძახიან, ჩვენ „ჯიჰადის ქალაქად“ მივიჩნევთ. ჩვენ ჩავშალეთ ისრაელის გეგმები — მათ ვერ დაანგრიეს მიწისქვეშ გებული ჩვენი გვირაბები.

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, იერუსალიმისა და აშდოდის მთავარი რელიგიური მოსამართლე იაკობ გაგულა (გაგულაშვილი) თანაგრძნობას უცხადებს თავის მეგობარს — ქართველ ებრაელთა ღირსეულ წარმომადგენელს ქველმოქმედსა და მეცენატს იოსებ (იოსკა) მამისთვალოვს შვილის —

ნათელა მამისთვალოვის გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003